

საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჰოსპიტალურ
სერვისებზე

ნინო ქამბაძე

გვანცა ნიქაბაძე

მარინა კლდიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: ნინო ქამხაძე

გვანცა ნიქაბაძე

მარინა კლდიაშვილი

თარიღი: 25.06.2019

მადლობა

ნაშრომის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა აკადემიურმა ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, თენგიზ ვერულავამ. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მას დაუღალავი შრომისა და გაწეული მხარდაჭერისთვის, რომელიც ასე ძალიან გვჭირდებოდა მუშაობის პროცესის განმავლობაში. ასევე დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენს კვლევაში.

აბსტრაქტი

შესავალი: მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში, იზრდება ხანდაზმული ადამიანების წილი, რომლებზეც ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. პენსიონერები უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამით. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ურგენტულ ჰოსპიტალურ ჯანდაცვით სერვისებზე.

მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა საპენსიო ასაკის მოსახლეობის (500 პენსიონერი) და 100 ექიმის გამოკითხვა სტრუქტურირებული დახურული ტიპის კითხვარის გამოყენებით. რესპოდენტების შერჩევა მოხდა შემთხვევითი მეთოდით. **შედეგები:** კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყანაში საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე არც თუ ისე სახარბიელოა, რაც გამოწვეულია ქვეყანაში საპენსიო ასაკის მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობითა და დაბალი შემოსავლით. მათ უჭირთ თანხის მოძიება სამედიცინო სერვისებით მომსახურების ასანაზღაურებლად, მაღალია დანახარჯები მედიკამენტებზე და ვისაც უწევთ თუ მეტ დაავადებასთან გამკლავება, ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ ყველა საჭირო მედიკამენტის შეძენას, ვერ მიმართავენ ექიმებს დროულად, შესაბამისად, მკურნალობის ბოლომდე ჩატარებას. საბოლოოდ მკურნალობას თვითნებურად წყვეტენ, რაც აისახება ქვეყანაში საპენსიო მოსახლეობის საერთო მდგომარეობაზე. **რეკომენდაციები:** საჭიროა საპენსიო ასაკის მოსახლეობაზე სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამის გაფართოება, პენსიონერების ინფორმირებულობის ამაღლება ჯანდაცვითი სარგებლების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის ექიმის როლის გაზრდას, რაც გაზრდის პრევენციული სერვისების უზრუნველყოფას, მიმართვიანობას, დაავადების უკეთესად მართვას, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს ჯანდაცვის ხარჯების შეკავებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საპენსიო ასაკის მოსახლეობა, ფინანსური ხელმისაწვდომობა.

Abstract

Introduction: All over the world, as well as in Georgia the population of the pension aged people on which the government take responsibility is increasing. The pensioners are provided with the state health care program.

The subject of our degree work, is the accessibility of the urgent hospital (clinic) health care.

Methodology: The survey was carried out among the pensioner aged population(500 pensioners) an 100 doctors people, were selected by chance and given the closed question structures.

Results: The survey showed that accessibility of the health care services is not so tempting. It is caused by the lack of information and low income of the elderly. They find it difficult to get enough money for the medical services . They cost of medicines, are so high as well and those who suffer from more than one disease are not able to buy all the necessary medicines. They can't afford to apply to the doctor in time and accomplish the treatment course. Frequently hey have to stop the course themselves and it has its dramatic effects on the mentioned group of people.

Recommendations: Government should expand the health care (services) program, therefore provide the pensioners with the proper information. Roles of family doctors should be increased. It will have its positive results in providing the preventive measures applying to the doctors, controlling the diseases better than before. All of these will a positive effect on the amount of money spent by pensioners on the health care services.

Key words: The pension aged people, Financial accessibi